ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2396019

ნომერი: AR1369361

თარიღი : 21.01.2016

გაცემის თარიღი : 22.01.2016

გაცნობის თარიღი : 22.01.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 84 ; ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 84 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ სურვილაძე პ/ნ 01024001606
- თბილისი კ.შევარდენიძის ქ. N 7 ბ. 41

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1369361 21.01.2016 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით #01.12.01.003.132 და #01.12.01.003.129 საწყობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 01.12.01.003.132 დამხმარე–ტექნიკური შენობების (საქმიანი ეზო და სასაწყობე ფართი) ასაშენებლად გაცემულია #1914689 05.06.2015 ბრძანება – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე არ იგეგმება არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, მოთხოვნის ტექსტის დახარვეზებულ ველში უნდა მოითხოვოთ აღნიშნული დოკუმენტის გაუქმება და ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად უნდა წარმოადგინოთ ტერიტორიის გენგეგმა საპროექტო ობიექტის და ნაკვეთზე საპრანსპორტო საშუალებების შესვლა–გამოსვლის სქემის ჩვენებით, გაუქმებაზე მოთხოვნა უნდა დააყენოს ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ (პასუხისმგებლობაზე უფლებამოსილმა პირმა). ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ გნებავთ #1914689 05.06.2015 ბრძანების გაუქმება, ცვლილება უნდა შეიტანოთ აღნიშნულ ბრძანებაში ახალი საკადასტრო ერთეულის და მოთხოვნილი ფუნქციის ობიექტის დამატებით, განაცხადს უნდა დაურთოთ გენგეგმა, როგორც ახალი ასევე #1914689 05.06.2015 ბრძანებით გათვალისწინებული ობიექტების და ნაკვეთზე სატრანსპორტო საშუალებების შესვლა–გამოსვლის სქემის ჩვენებით. ამასთან გაცნობებთ, რომ ტოპოგრაფიული გეგმა ხელმოწერილი უნდა იქნეს პასუხისმგებელი პირის მიერ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.